საიდ. N78666/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №174-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა შპს „აგროკონსორციუმი წეროვანი"-ს (მცხეთის რაიონი, სოფ. წეროვანი) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №174-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N1257/03 ბრძანების ბათილად ცნობა და კომბინირებული სასაქონლო ნიშნის ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani" (საიდ. N78666/03) რეგისტრაცია საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის

მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N1257/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani" (საიდ. N78666/03) დაცვას არ ექვემდებარება ვინაიდან შეცდომაში შემყვანია განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ. ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია მაშინ, ,,როდესაც ის შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ.". სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანში შემავალი ტერმინი „Anchovy", ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც - „ანჩოუსი, სარდალა თევზი." იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისთვის, „კარაქის სპრედისთვის", ექსპერტიზას მიაჩნია, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის სახეობის მიმართ, ვინაიდან, სასაქონლო ნიშანზე წარწერა „Anchovy" მომხმარებელს აფიქრებინებს, რომ შემოთავაზებული პროდუქცია არის თევზის ცხიმის შემცველი, მაშინ როდესაც სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი ახორციელებს კარაქის სპრედის რეალიზაციას.

შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას ზრდის ის გარემოებაც, რომ კარაქის სპრედიც და თევზიც წარმოადგენს საკვებ პროდუქტს და მათი გასაღების ადგილი

ერთია.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშანში შემავალ სიტყვიერ ელემენტებს „SPREADABLE BUTTER“ და „Tserovani“, ისინი სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან ტერმინი ,,SPREADABLE BUTTER“, აღწერილობითია განცხადებული საქონლის მიმართ, ხოლო ტერმინი - „Tserovani“- მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტის წარმომადგენელი, არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და განმარტავს, რომ საქპატენტის უარყოფითი გადაწყვეტილების მიხედვით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია მისი სიტყვიერი ელემენტის „Anchovy“ გამო, ვინაიდან იგი ქართულად ითარგმნება, როგორც „ანჩოუსი, სარდალა თევზი“ და ეს ფაქტი მომხმარებელს აფიქრებინებს, რომ შემოთავაზებული პროდუქტი არის თევზის ცხიმის შემცველი, მაშინ, როცა განმცხადებელი აწარმოებს კარაქის სპრედს. ამასთან, აპელანტი იზიარებს ექსპერტიზის გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში შემავალი სიტყვიერი ელემენტები „SPREADABLE BUTTER“, არადაცვისუნარიანია, ვინაიდან, სწორედ პროდუქტის ეს დასახელებაა მოცემული საქონლის ჩამონათვალში, მაგრამ ამასთან აპელანტი განმარტავს, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ელემენტების „SPREADABLE BUTTER“ არსებობა, თავისთავად არ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ საქონლის განცხადებული ჩამონათვალი არის მომხმარებლისთვის კარგად ცნობილი რძის პროდუქტი - კარაქი. შესაბამისად, აპელანტს მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ არის შეცდომაში შემყვანი განცხადებული საქონლის მიმართ. აპელანტი განმარტავს, რომ სიტყვიერი ელემენტი „BUTTER“ ინგლისურ ენაზე იხმარება არა მხოლოდ რძიდან მიღებული კარაქისათვის, არამედ სხვადასხვა ხილიდან მიღებული მასისათვისაც, მაგ. ,,Apple Butter“- ვაშლის პიურე,

,,Fruite butter“ – ხილის პიურე. იგივე შეეხება ტერმინის ,,Butter“ გამოიყენებას თევზთან მიმართებაშიც, მაგ. ,,Anchovy Butter“.

რაც შეეხება დასახელებას ,,Spreadable butter“ (რუსულ ლიტერატურაში მოიხსენება როგორც комбинированное масло), აპელანტის აზრით, ეს არის პროდუქტი, რომელიც მზადდება სხვადასხვა წარმოშობის ცხიმებისაგან, მათ შორის, შესაძლებელია დამზადდეს, როგორც რძის ცხიმის ნაწილობრივი შემცველობით, ასევე, საერთოდ რძის ცხიმის გარეშე. აპელანტი ადასტურებს, რომ საქონლის ჩამონათვალში მითითებული კარაქის სპრედში გამოიყენება, ასევე, თევზის ცხიმი, როგორც ჯანმრთელი კვებისათვის ომეგა 3-ცხიმოვანი მჟავებით გამდიდრებული კომპონენტი. შესაბამისად, განცხადებული საქონელი წარმოადგენს ზუსტად იმ პროდუქტს, რომლის დასახელებაც არაგანმასხვავებელუნარიანი დაუცავი დასახელების „SPREADABLE BUTTER“ სახით მოცემულია სასაქონლო ნიშანში, რაც გამორიცხავს მომხმარებელს შეცდომაში შეყვანას საქონლის სახეობის მიმართ. უკიდურეს შემთხვევაში, აპელანტი თანახმაა, საქონლის ჩამონათვალი დაზუსტდეს შემდეგი სახით: „კარაქის სპრედი, რომელიც გამდიდრებულია თევზის ცხიმოვანი მჟავებით“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N1257/03 ბრძანება და კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani“ (საიდ. N78666/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №174-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი შეცდომაში შემყვანია, ,,როდესაც ის შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani“ (საიდ. N78666/03) შეცდომაში შემყვანია 29-ე კლასის განცხადებული საქონლის, კარაქის სპრედის მიმართ.

სპრედი (spread) ინგლისური სიტყვაა და პურზე წასასმელი რბილ მასას ნიშნავს (spread - a soft food for putting on bread and biscuits, Cambridge Advanced learner's Dictionary). რაც შეეხება კარაქს, იგი მზადდება რძისგან და რძის ცხიმისგან. ევროკავშირის რეგულაციის თანახმად (**COUNCIL REGULATION (EC) No 1234/2007**), "კარაქი" ან "მარგარინი" შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ პროდუქტს, რომლის ცხიმიანობა 80%-დან 90%-მდეა. პროდუქტებს, რომლის ცხიმიანობაც უფრო დაბალია, სპრედები ეწოდება. ამდენად, კარაქის სპრედი წარმოადგენს დაბალი ცხიმიანობის მქონე კარაქს. ზოგადად რძის ცხიმისაგან დამზადებული მყარი, რბილი წასასმელი ან არამყარი პროდუქტები დამზადებულია მხოლოდ რძისგან ან რძის პროდუქტებისგან, რომლისთის ცხიმი არის ძირითადი შემადგენელი. ამ პროდუქტებს შესაძლებელია დაემატოს სხვა ნივთიერებები მისი დამზადებისათვის, იმ პირობით, რომ ეს ნივთიერებები არ გამოიყენება სრულად ან ნაწილობრივ რძის შემადგენლობის ჩასანაცვლებლად. კარაქის სპრედი, არის რძის პროდუქტების სპრედი (Dairy Spread), დაბალპროცენტიანი კარაქი, რომლის რძის ცხიმის შემცველობა 80% ნაკლებია (**COUNCIL REGULATION (EC) No 1234/2007**).

ამასთან, კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კარაქის სპრედი, თევზის სპრედი (fish spread) (TMclass), ზღვის პროდუქტების სპრედი (seafood spread) (TMclass), ისევე როგორც შებოლილი თევზის სპრედი (smoked fish spread) (TMclass) სხვადასხვა შემადგენლობის მქონე პროდუქტებია. როგორც ზევით

უკვე აღინიშნა კარაქის სპრედი მზადდება რძის პროდუქტებისაგან, ხოლო თევზის სპრედი დამზადებულია თევზისგან. ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ Anchovy, ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც ანჩოუსი, სარდალა თევზი, ხოლო Anchovy spread (Sardellenauftsrich, www.dict.cc) ნიშნავს სარდალა თევზის სპრედს, პურზე წასასმელ მასას, რომელიც ანჩოუსისგან მზადდება.

რაც შეეხება დაზუსტებულ საქონლის ჩამონათვალს „კარაქის სპრედს, რომელიც გამდიდრებულია თევზის ცხიმოვანი მჟავებით", კოლეგია თვლის, რომ მიუხედავად საქონლის ჩამონათვალში იმის მითითებისა, რომ კარაქის სპრედი გამდიდრებულია თევზის ცხიმოვანი მჟავებით, მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი. კოლეგიის აზრით, განცხადებული საქონლის ჩამონათვალი წარმოადგენს კარაქის სპრედს, რძის პროდუქტს, რომელიც დამზადებულია რძის ცხიმისაგან, მისი ძირითადი თუ სრული შემადგენელი ნაწილი არის რძე და არა თევზი, მაშინ როდესაც, როგორც ზევით უკვე აღინიშნა ანჩოუსის სპრედი ანჩოუსისგან დამზადებულ საკვებ პროდუქტს წარმოადგენს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში, მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი, ვინაიდან, ანჩოუსი, სარდალა თევზი წარმოადგენს თევზის სახეობას, სახელწოდებას, ხოლო საქონელი, რომლისთვისაც ის რეგისტრირდება არის რძის პროდუქტი. მომხმარებელი ამ ნიშნით ნიშანდებული საქონლის შეძენისას ივარაუდებს, რომ იგი იძენს თევზის სპრედს, თევზისაგან დამზადებულ პროდუქტს, ხოლო კონკრეტულად კი ანჩოუსის, სარდალა თევზის სპრედს და არ იფიქრებს, რომ იგი იძენს კარაქს, რომელიც გამდიდრებულია თევზის ცხიმის მჟავით, რომლის მოცულობა 100 გრამ კარაქში უმნიშვნელოა. ამდენად, სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, აშკარაა, რომ მომხმარებელს სასაქონლო ნიშნით ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani" ნიშანდებული საქონლის შეძენისას დარჩება შთაბეჭდილება, რომ იგი იძენს ანჩოუსის სპრედს და არა კარაქს და შესაბამისად იგი შეცდომაში იქნება შეყვანილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია თვლის, რომ კარაქის სპრედის, ისევე როგორც „კარაქის სპრედის, რომელიც გამდიდრებულია თევზის

ცხიმოვანი მჟავებით“ მიმართ სასაქონლო ნიშანი ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani“ არის შეცდომაში შემყვანი განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და იგი არ უნდა დარეგისტრირდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანი ,,Anchovy SPREADABLE BUTTER Tserovani“ (საიდ. N78666/03) არ უნდა დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „აგროკონსორციუმი წეროვანი“-ს სააპელაციო საჩივარი (საიდ. N174-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N1257/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.

მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: დ. ჭიჭინაძე

ქ. კილაძე